მონაცემთა დაცვის უწყება

კონფიდენციალურობის განცხადება EUIPO-ს შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით

თქვენი კონფიდენციალურობის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწებისათვის (EUIPO). უწყება პატივს სცემს და იცავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს და უზრუნველყოფს თქვენი კონფიდენციალურობის უფლებების დაცვას.

პერსონალური ხასიათის მონაცემები, რომლებიც მუშავდება EUIPO-ს შეხვედრების ორგანიზებისა და ღონისძიებების მართვის ფარგლებში, კერძოდ, ის მონაცემები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია თქვენი პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიკაცია, დამუშავებული იქნება კეთილსინდისიერად, კანონიერად და სათანადო სიფრთხილით.

პერსონალური მონაცემების დამუშავება EUIPO-ს შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის მიზნით მოიცავს მონაცემთა დამუშავებას მონაწილეთა მოწვევისას/რეგისტრაციისას; ლოგისტიკის კოორდინაციისას; შეხვედრის /ღონისძიების გაშუქებისა და პოპულარიზაციისას, მათ შორის დოკუმენტაციის, ფოტოებისა და აუდიოვიზუალური ჩანაწერების სახით და მათი შესაძლო გავრცელებისა და გამოქვეყნებისას; ღონისძიების შემდგომი ქმედებების განხორციელებისას, როგორიცაა, მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარება და ოქმების, პრეზენტაციებისა და ანგარიშების გავრცელება.

დამუშავების ეს ოპერაცია ექვემდებარება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2018 წ. 23 ოქტომბრის ,,რეგულაციას Regulation (EU) 2018/1725 კავშირის დაწესებულებების, ორგანოების, უწყებებისა და სააგენტოების მიერ პერსონალური

მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ინდივიდების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი გადაადგილების შესახებ“. ინფორმაცია ამ წერილში მოცემულია რეგულაციის Regulation (EU) 2018/1725 მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად. ამ კონფიდენციალურობის განცხადებაში წარმოადგენილია დეტალური ინფორმაცია ყველა ტიპის მონაცემების შესახებ, რომლებიც შეიძლება იქნეს დამუშავებული EUIPO-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე/ღონისძიებაზე. თუმცა, EUIPO-ს კონკრეტული შეხვედრისას/ ღონისძიებისას დამუშავებული ზუსტი მონაცემები შეიძლება განსხვავდებოდეს ყოველი საქმის გარემოებების მიხედვით.

1. **როგორია მონაცემთა დამუშავების ოპერაციის ხასიათი და მიზანი (მიზნები)?**

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება შეხვედრების/ ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის მიზნით და მათი შემდგომი ნებისმიერი საჭირო ქმედების კოორდინაციისათვის, ასევე, ანგარიშვალდებულების, კომუნიკაციის /გამჭვირვალობის /ცნობიერების ამაღლების/განათლების/პოპულარიზაციის მიზნებისათვის.

პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება საჭირო იყოს შეხვედრის/ღონისძიების მონაწილეების რეგისტრაციისა და დაბინავების მიზნისათვის; ლოგისტიკური დახმარებისათვის შეხვედრის/ ღონისძიების დაწყებამდე, მის განმავლობაში და შემდეგ, ოქმების შედგენისა და გავრცელებისას, დღის წესრიგის, პრეზენტაციების ან/და ანგარიშების გავრცელებისას; ინტერვიუების ჩაწერისას; ვებგვერდზე გამოქვეყნებისას, შიდა ჟურნალში ან სხვა მედია არხებზე გამოქვეყნებისას, როგორიცაა სტრიმინგი; EUIPO-ს მიერ მონაწილეებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისა სამომავლოდ დაგეგმილი კონკრეტული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ.

პერსონალური მონაცემები შეიძლება შეტანილი იქნეს საკონტაქტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომელიც გაზიარებულია EUIPO-ს დეპარტამენტებს შორის და გამოყენებულია იმისათვის, რომ დაუკავშირდნენ საკონტაქტო მონაცემების სუბიექტებს მომავალი შეხვედრების/ღონისძიებების შემთხვევაში.

თქვენი მონაცემები შეიძლება მიღებული იქნეს პირდაპირ თქვენგან რეგისტრაციის ეტაპზე ან სხვა წყაროდან (საკონტაქტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზები, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები, შეხვედრის/ღონისძიების სხვა მონაწილე, რომელსაც აქვს უფლება წარმოადგინოს მონაცემები თქვენი სახელით და სხვ.).

2. რომელ პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ?

შეხვედრის/ღონისძიების დაწყებამდე, განმავლობაში და შემდეგ, EUIPO ამუშავებს მონაწილეთა საიდენტიფიკაციო მონაცემებს შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზებისა და მართვის მიზნით. ეს მონაცემები მოიცავს: აკადემიურ წოდებას, სახელს, გვარს, DNI/პასპორტის ნომერს, დაბადების თარიღს, მოქალაქეობას, საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ხელმოწერას, პროფესიას, დაკავებულ თანამდებობას, ორგანიზაციას/დაწესებულებას, ქვეყანას, გამომგზავრების ქალაქს, საბანკო რეკვიზიტებს, ფისკალურ კოდსა და მისამართს ანაზღაურების მიზნებისათვის, ინდივიდუალურ ინფორმაციას ტრანსპორტთან და დაბინავებასთან დაკავშირებით. ასევე, შესაძლებელია თქვენი მობილური ტელეფონის ნომრის დამუშავება მხოლოდ საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. შეხვედრის/ღონისძიების ხასიათის მიხედვით, შეიძლება ასევე შეგროვდეს ინფორმაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, როგორიცაა გადაადგილებასთან დაკავშირებით ფიზიკური მონაცემები და დიეტა, ალერგია და საკვების აუტანლობა.

გარდა ამისა, შეხვედრის/ღონისძიების მსვლელობისას შეიძლება შეიქმნას ხმოვანი, ვიდეო ან აუდიოვიზუალური ჩანაწერები, მათ შორის პრეზენტაციებში/ინტერვიუებში/სემინარებში მონაწილეობის მიღების დროს. ასეთ შემთხვევებში, შეიძლება დამუშავდეს გამოსახულებები/ფოტოები, განცხადებები, მოსაზრებების და ა.შ. ჩანაწერის ტიპისა და ჩანაწერის მიზნ(ებ)ის შესაბამისად,

თუ არ გსურთ თქვენი სურათის გადაღება/ხმის ჩაწერა/ ვებგვერდზე გამოქვეყნება, აუცილებელი და კანონიერი მიზეზების გამო, ყოველთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ უარის თქმის უფლებით, მაგ. არ დაესწროთ ფოტოგრაფირებას/ჩაწერას. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზატორებს, რათა მათ შეძლონ, გაითვალისწინონ თქვენი სურვილი ვიდეოგადაღებისა და ფოტოგრაფირების დროს და შემოგთავაზონ ალტერნატიული გამოსავალი. საერთოდ, გამოყოფილია სპეციალური ადგილი, სადაც შეუძლიათ დასხდომა იმ მონაწილეებს. რომელთაც არ სურთ ვიდეოებში/ ფოტოებზე გამოჩენა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმა გავლენას არ ახდენს იმ დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც ჩატარდა უარის თქმის განცხადებამდე.

3. ვინ არის პასუხისმგებელი მონაცემთა დამუშავებაზე?

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების პასუხისმგებლობით. პერსონალური მონაცემები შეიძლება დაამუშავონ:

- ინფრასტრუქტურისა და ნაგებობების დეპარტამენტის (IBD) მიღების ორგანიზატორებმა, უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის შიდა ჯგუფებმა და გარე პროვაიდერებმა, მაგ. როგორებიცაა ღონისძიებების მართვის

პროვაიდერი “Pomilio Blumm” და მისი ქვეკონტრაქტორები/პროვაიდერები/მომწოდებლები;

- კომუნიკაციების სამსახურის (CS) შიდა ჯგუფებმა და მათმა გარე პროვაიდერებმა, რომლებიც არიან პასუხისმგებელნი ფოტოგრაფირებაზე/ვიდეოჩანაწერების შესრულებაზე ზოგიერთ შეხვედრაზე/ღონისძიებაზე;
- თანამშრომლებმა ან/და სხვა დეპარტამენტების თანამშრომლებმა, რომლებიც ჩართულნი არიან შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზებაში.

4. ვის აქვს წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე და ვისთვის ხდება მათი გამჟღავნება?

პერსონალური მონაცემებზე, მათი ტიპისა და დამუშავების მიზნების მიხედვით, წვდომა აქვთ მხოლოდ ინფორმაციის საჭიროების შემხთვევაში EUIPO-ს თანამშრომლებს და, შესაძლოა, გარე პროვაიდერებს, მათ ქვეკონტრაქტორებსა და ფართო საზოგადოებას, შესაბამისად.

პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ:

- ინფრასტრუქტურისა და ნაგებობების დეპარტამენტის (IBD) მიღების ორგანიზატორებს, უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის შიდა ჯგუფებსა და გარე პროვაიდერებს, მაგ. როგორებიცაა ღონისძიებების მართვის პროვაიდერი “Pomilio Blumm” და მისი ქვეკონტრაქტორები/პროვაიდერები/მომწოდებლები;
- კომუნიკაციების სამსახურის (CS) შიდა ჯგუფებსა და მათმა გარე პროვაიდერებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან პასუხისმგებელნი ფოტოგრაფირებაზე/ვიდეოჩანაწერების შესრულებაზე ზოგიერთ ღონისძიებაზე;

- თანამშრომლებს ან/და სხვა დეპარტამენტების თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულნი არიან შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზებაში.

პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი შიდა კომუნიკაციის ინსტრუმენტებით, მაგ., როგორებიცაა შიდა ვებგვერდი "Insite", შიდა ჟურნალი "Backstage", შეხვედრებზე/ღონისძიებებზე ნაჩვენები ვიდეოები, ღონისძიებების მართვის პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია მონაწილეებისათვის ღონისძიების განმავლობაში, EUIPO-ს ახალი ამბების პროგამები. EUIPO-ს საქმიანობის ფარგლებში, ფართო საზოგადოებისთვის ასევე შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს სურათები, პრეზენტაციები, პირდაპირი ვებსტრიმინგი ან/და მომხსენებლების, მონაწილეებისა და ორგანიზატორების აუდიოვიზუალური ჩანაწერები შეიძლება და ა.შ.

პერსონალური მონაცემების მიმღებნი (EUIPO-ს თანამშრომლები, გარე რესურსები, დანარჩენი მონაწილეები ან/და ფართო საზოგადოება) შეიძლება სხვადასხვა იყვნენ ჩანაწერის ტიპისა და შეხვედრის/ღონისძიების მიზნის შესაბამისად.

როდესაც ღონისძიება ითვალისწინებს ოქმის შედგენას, შეხვედრის ოქმში წარმოდგენილი იქნება მონაწილეთა სახელები და მათი ფუნქციები და, მონაწილის თანამდებობასთან ერთად, დანარჩენი დამსწრეებისათვის ასევე ცნობილი იქნება ორგანიზაცია/დაწესებულება და ქვეყანა. თუ არ გსურთ თქვენი სახელის გამოქვეყნება შეხვედრის ოქმებში, აუცილებელი და კანონიერი მიზეზების გამო, ყოველთვის შეგიძლიათ უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, წინასწარ აცნობოთ შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზატორებს, რათა მათ გაითვალისწინონ თქვენი სურვილი, და ასევე მიუთითოთ მიზეზები, რომელთა გამოც შეიძლება დაირღვეს თქვენი კანონიერი ინტერესები თქვენი მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში.

როდესაც ღონისძიება მოიცავს მომხსენებლების მონაწილეობას, ჩვენ გამოვაქვეყნებთ შეხვედრის დღის წესრიგს მომხსენებლების სახელის, აკადემიური წოდების და პროფესიული კუთვნილების მითითებით. ჩვენ ასევე შეიძლება გამოვაქვეყნოთ სხვა პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდიან მომხსენებლები, მაგ., CV, ფოტოები, პრეზენტაციები და ა.შ. თუ თქვენ ხართ მომხსენებელი და არ გსურთ, განხორციელდეს თქვენი ფოტოს გადაღება/ხმის ჩაწერა/ვებგვერდზე გამოქვეყნება, ან შეხვედრის დღის წესრიგის გავრცელება, სადაც მითითებული იქნება თქვენი სახელი, აკადემიური წოდება და პროფესიული კუთვნილება, თქვენი CV ან სხვა მონაცემები, რომლებიც თქვენ მოგვაწოდეთ, აუცილებელი და კანონიერი მიზეზების გამო, ყოველთვის შეგიძლიათ უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, წინასწარ აცნობოთ შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზატორებს, რათა მათ გაითვალისწინონ თქვენი სურვილი, და ასევე მიუთითოთ მიზეზები, რომელთა გამოც შეიძლება დაირღვეს თქვენი კანონიერი ინტერესები თქვენი მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში.

როგორც წესი, თქვენი მონაცემები ხელმისაწვდომი არ გახდება მესამე მხარეებისათვის EEA-ს ფარგლებს გარეთ. პეროსნალური მონაცემების გადაცემის შემთხვევაში დაცული იქნება რეგულაციის (EU) 2018/1725 V თავის ყველა დებულება.

კონკრეტული ინფორმაცია რაიმე მომსახურების მიმღებთა შესახებ და თითოეული შეხვედრის/ღონისძიების დროს გამოყენებული სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე.

5. როგორ ვიცავთ თქვენს ინფორმაციას და როგორ უზრუნველვყოფთ მის უსაფრთხოებას?

ჩვენ ვიღებთ შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს იმისათვის, რომ დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო

განადგურებისგან, დაკარგვისგან, შეცვლისაგან, უნებართვო გამჟღავნებისა ან წვდომისაგან.

შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები ინახება უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) პროგრამებში, უწყების უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე, სპეციალური ელექტრონულ საქაღალდეებში, რომლებზეც წვდომა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. EUIPO-ს სისტემები და სერვერები პაროლით არის დაცული და მათი წვდომისათვის საჭიროა ავტორიზებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. ინფორმაცია ინახება საიმედოდ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მასში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. ქაღალდზე არსებული მატერიალური დოკუმენტები ჩაკეტილია უსაფრთხო კარადებში.

ყველა პირი, რომელსაც შეხება აქვს პერსონალურ მონაცემებთან შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ფარგლებში, ხელს აწერს კონფიდენციალურობის დეკლარაციას.

თუ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მომსახურების პროვაიდერის მიერ (გარე დამამუშავებელი), მაკონტროლებელი ზედამხედველობას გაუწევს და შეამოწმებს აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომების შესრულებას, რომლებიც საჭიროა რეგულაციასთან Regulation (EU)2018/1725 შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

6. როგორ შეგიძლიათ მიიღოთ წვდომა თქვენს შესახებ არსებულ ინფორმაციაზე და აუცილებლობის შემთხვევაში შეასწოროთ იგი? როგორ შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი მონაცემები? როგორ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი

პერსონალური მონაცემების წაშლა ან შეზღუდოთ ან უარი თქვათ მათ დამუშავებაზე?

თქვენ გაქვთ პირადი მონაცემების წვდომის, შესწორების, წაშლისა და მიღების, ასევე თქვენი მონაცემების დამუშავების შეზღუდვისა და მასზე უარის თქმის უფლება, რეგულაციის (EU)2018/1725 მუხლების 17-24 შესაბამისად.

თუ გსურთ რომელიმე ამ უფლების გამოყენება, გთხოვთ, მონაცემთა მაკონტროლებელს გაუგზავნოთ წერილობითი მოთხოვნა, სადაც გარკვევით იქნება მითითებული თქვენი თხოვნა.

თქვენს მოთხოვნას გაეცემა პასუხი დაუყოვნებლივ, მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. თუმცა, რეგულაციის (EU) 2018/1725 მე-14(3) მუხლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 2 თვით, მოთხოვნების სირთულისა და რაოდენობის გამო. უწყება გაცნობებთ ვადის ნებისმიერი ასეთი გახანგრძლივების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, ამასთან, გაცნობებთ დაყოვნების მიზეზებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი თანხმობის გამოთხოვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით არ ახდენს გავლენას დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც ჩატარებულია თქვენი თანხმობის საფუძველზე, ვიდრე მოხდებოდა ამ თანხმობის უკან გამოთხოვა.

7. რა წარმოადგენს თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს?

დამუშავების ოპერაციები ექვემდებარება რეგულაციას (EU)2018/1725:

- მუხლი 5.1.(a), როდესაც დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესიდან გამომდინარე დავალების შესასრულებლად, ოფიციალური უფლებამოსილების საფუძველზე ან მისი

განხორციელებით (ეს შეეხება საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რომლებიც საჭიროა შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზებისათვის, ფოტოებისათვის, ვიდეოებისათვის და ა.შ.).

- მუხლი 5.1.(c), როცა დამუშავება აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად, რომლის მხარეც არის მონაცემთა სუბიექტი, ან იმისათვის, რომ მიღებული იქნეს ზომები მონაცემთა სუბიექტის თხოვნით კონტრაქტის გაფორმებამდე (ეს შეეხება საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რომლებიც საჭიროა შეხვედრის/ღონისძიების ორგანიზებისათვის).
- მუხლი 5.1.(d), როდესაც მონაცემთა მაკონტროლებელს მიღებული აქვს თავისუფლად გაცემული, სპეციფიკური, გაცნობიერებული და ცალსახა მინიშნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის შესახებ მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების თაობაზე.
- მუხლი 5.1.(e), როდესაც დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად (ეს შეეხება მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომრებს, როდესაც ისინი გროვდება შეხვედრაზე/ღონისძიებაზე რეგისტრაციის დროს).

გარდა ამისა, პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შიდა სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნით, EUIPO-ს მიერ ინიცირებული/ განხორციელებული შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისას.

8. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს მონაცემებს?

პერსონალური მონაცემები, რომლებსაც ამუშავებს მონაცემების მაკონტროლებელი ან მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მომსახურების

მიმწოდებელი საზოგადოდ ინახება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია იმ მიზნის მისაღწევად, რომლისთვისაც იქნა ისინი დამუშავებული. მონაცემთა ნაწილი (სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ხელმოწერა, ელექტრონული ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ფისკალური კოდი და მისამართი, საჭიროების შემთხვევაში) ინახება ანგარიშვალდებულების მიზნით, მაქსიმუმ 7 წლის განმავლობაში. დანარჩენი მონაცემები ინახება ღონისძიებების მართვის მონაცემთა ბაზაში ღონისძიების შემდგომ მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები ინახება ღონისძიების შემდგომ მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში, თუ მონაწილეს არ გამოუთხოვია თავისი თანხმობა. თანხმობის უკან გამოთხოვის შემთხვევაში, მონაცემები წაიშლება დაუყოვნებლივ. ზემოთქმულის მიუხედავად, ზოგიერთი პერსონალური მონაცემები შეიძლება შენახული იქნეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შემდეგი სახით:

- შეხვედრების/ღონისძიებების ხმოვანი, ვიდეო და აუდიოვიზუალური ჩანაწერები შეიძლება შენახული იქნეს EUIPO-ს მიერ საგანმანათლებლო, ინსტიტუციური, ისტორიული, საინფორმაციო ან/და ცნობიერების ამაღლების მიზნებისათვის უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ,,EUIPO-ს კომუნიკაციის სამსახურის მიერ ჩანაწერების შესრულებისა და ფოტოგრაფირების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის განცხადების შესაბამისად", რომლის თქვენთვის მოწოდება შეგვიძლია მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი მონაცემები შეიძლება იყოს გამოქვეყნებული EUIPO-ს შიდა ქსელში, EUIPO-ს ვებსაიტზე, ასევე შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს უწყების სხვა სოციალური მედიის არხებისა ან აკადემიის სასწავლო პორტალის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში პერსონალური მონაცემები

შეიზღუდება, რამდენადაც შესაძლებელია, მაგ., შენახული იქნება მხოლოდ სახელი, გვარი და ფოტოები.

- საკონტაქტო ინფორმაცია შეიძლება შენახული იქნეს საკონტაქტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში, რომელზეც შიდა წვდომა აქვთ EUIPO-ს დეპარტამენტებს, რათა მათ შეძლონ, დაუკავშირდნენ მონაცემთა სუბიექტებს მომავალ შეხვედრებზე/ღონისძიებებზე მოსაწვევად, როგორც ეს აღწერილია ,,EUIPO-ში საკონტაქტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის მართვასთან დაკავშირებულ კონფიდენციალურობის განცხადებაში“,რომლის თქვენთვის მოწოდება შეგვიძლია მოთხოვნის საფუძველზე.

9. ვის უნდა დაუკავშირდეთ, თუ გაქვთ კითხვები/მოთხოვნები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით?

თუ გაქვთ რაიმე კითხვები/მოთხოვნები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გაუგზავნოთ ისინი მონაცემების მაკონტროლებელს: DPOexternalusers@euipo.europa.eu.

შეგიძლიათ მიმართოთ EUIPO-ს მონაცემთა დაცვის თანამშრომელს: DataProtectionOfficer@euipo.europa.eu.

დახმარება

თუ თქვენს თხოვნაზე არ განხორციელდა ადეკვატური რეაგირება მონაცემთა მაკონტროლებლის ან/და მონაცემთა დაცვის თანამშრომლის (DPO) მხრიდან, შეგიძლიათ, შეიტანოთ საჩივარი ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან: edps@edps.europa.eu.